



თემა 6. Windows-ის პარამეტრების დაყენება: შრიფტების ინსტალაცია, ეკრანული პარამეტრების შეცვლა, რეგიონული პარამეტრები.

Windows-ის პარამეტრების დაყენება ხდება Control Panel ფანჯრიდან, რომელიც გამოიძახება სასტარტო მენიუს Start/Settings/Control Panel ან My Computer/Control Panel ბრძანების შესრულებით.



Control Panel ფანჯარა შეიცავს სტანდარტულ პიქტოგრამებს. თითოეული პიქტოგრამა ემსახურება Windows-ის ამა თუ იმ პარამეტრის რეგულირებას. Control Panel ფანჯრის მარცხენა ნაწილში მოთავსებულია მენიუ. მენიუს პუნქტი Help and Support ემსახურება ინტერნეტის საცნობარი სისტემით სარგებლობას და ჩვენთვის უკვე ცნობილია. მენიუს პუნქტი Windows Update განკუთვნილია Windows-ის განახლებისათვის ინტერნეტის საშუალებით.

განვიხილოთ Control Panel ფანჯრის ყველაზე მნიშვნელოვანი პიქტოგრამები. პიქტორამა Mouse-ზე დაწკაპუნებით მივიღებთ დიალოგურ ფანჯარას Mouse Properties, რომლიდანაც სრულდება მაუსის პარამეტრების რეგულირება. ფანჯარას



6 ჩანართი აქვს. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია: Buttons (კლავიშები), Pointers (მაჩვენებლები), Pointer Options (მაჩვენებლის თვისებები) და Hardware (ზოგადი).


Buttons ჩანართის Buttons configuration განყოფილებაში ვხედავთ გადამრთველს Right-handed - Left-handed, რომელსაც ჩვეულებრივ ჩართული აქვს რეჟიმი Right-handed. აქვე განნიშნავენ, რომ ამ რეჟიმის დროს მაუსის მარცხენა კლავიშით სრულდება ძირითადი მოქმედებები (მოწიშვნა, პიქტოგრამების გააქტიურება და სხვა), ხოლო მარჯვენათი

- კონტექსტური მენიუს გამოტანა, სპეციალური გადართევა და სხვა. Left-handed რეჟიმში გადართვის შემთხვევაში მაუსის მარცხენა და მარჯვენა კლავიშებს ფუნქციები ეცვლება მოპირდაპირეზე. ასეთი კონფიგურაცია გათვალისწინებულია ცაციებისათვის. Double Click Speed განყოფილებაში განისაზღვრება მაუსის

ორჯერადი დაწკაპუნების სისწრაფე. თუ სისწრაფის მაჩვენებელს გადავიტანთ **Slow** ბოლოსკენ, მომხმარებელი შესძლებს ორმაგი დაწკაპუნების შესრულებას შედარებით ნელა. თუ კი დავიწყებთ მაჩვენებლის გადატანას **Fast** ბოლოსკენ, მომხმარებელმა ორჯერადი დაწკაპუნება უფრო და უფრო სწრაფად უნდა შეასრულოს. აქვე არის სისწრაფის ტესტირების საშუალება.


Pointers ჩანართიდან ხდება მაუსის კურსორის სახის დაყენება. როგორც ვიცით, მაუსის სხვადასხვა მოქმედების დროს მისი კურსორი იღებს სხვადასხვა სახეს (ორმხრივი ისრის, კითხვისნიშნის, ქვიშის საათის, ჯვრისა და სხვა).

Scheme განყოფილებაში შეიძლება ავირჩიოთ კურსორის სახეთა ერთობლიობა - თემა. **Customize** განყოფილება საშუალებას გვაძლევს ავირჩიოთ კურსორის სახე საკუთარი სურვილით მაუსის ცალკეული რეჟიმისთვის. მაგალითად, **Buzy** (ლოდინი) რეჟიმის სტრიქონზე ორჯერადი დაწკაპუნებით გამოტანილ **Browse** ფანჯარაში მოვნიშნოთ კურსორის სასურველი სახე და დავაჭიროთ ღილაკს **Open. Browse** ფანჯარა დაიხურება, ხოლო **Buzy** სტრიქონში გამოჩნდება კურსორის ახალი ფორმა. ამავდროულად გააქტიურდება ღილაკი **Use Default**.



არჩევანის დადასტურება ხდება დიალოგური ფანჯრის **Apply** ღილაკზე დაჭერით. თუ კი დავაჭერთ **Use Default** ღილაკს, მაუსის კურსორი მიიღებს თავდაპირველ სახეს.

Pointer Options ჩანართი შეიცავს 3 განყოფილებას.





Motion განყოფილებაში განისაზღვრება მაუსის კურსორის ეკრანზე მოძრაობის სისწრაფე. ამ პარამეტრის დაყენება ხდება წინა ჩანართის ანალოგიურად. **Snap To** რეჟიმის ჩართულ მდგომარეობაში მაუსის კურსორი ავტომატურად გადაიტანება დიალოგურ ფანჯარაში რეკომენდირებული პასუხის ღილაკთან.

Visibility განყოფილების **Display pointer trails** ჩამრთველის მონიშვნის შემთხვევაში ეკრანზე მოძრაობისას მაუსის კურსორი კვალს - შლეიფს დატოვებს. შეიძლება ავირჩიოთ შლეიფის სიგრძე: **Short** - უმოკლესიდან **Long** - ყველაზე გრძელამდე.


Hardware ჩანართში მითითებულია მაუსის სახელწოდება და შესაბამისი პარამეტრები. თუ მაუსს გააჩნია მოძრავი ბორბალი **Scrolling**, მისი პარამეტრების დარეგულირება შეიძლება **Wheel** ჩანართიდან.

დავაწკაპუნოთ **Control Panel** ფანჯრაში **Display** პიქტორამაზე ან შევასრულოთ სამუშაო მაგიდის კონტექსტური მენიუს ბრძანება **Properties**. მივიღებთ დიალოგურ ფანჯარას **Display Properties**.

ფანჯრის **Themes** ჩანართიდან შეგვიძლია ეკრანული პარამეტრების გარკვეული ერთობლიობის (მზა კომბინაციის) - თემის არჩევა. თემა განსაზღვრავს სამუშაო მაგიდის სხვადასხვა გრაფიკული ელემენტის სახეს: ფანჯრებისა და პიქტოგრამების ტიპს, **Desktop**-ის ფონსა და ნახატს და აგრეთვე ხმას, რომელიც თან ახლავს **Windows**-ის ზოგიერთ მოვლენას (მაგალითად, პროგრამის მუშაობის დამთავრებას). თემის არჩევა ხდება ჩამოშლადი **Theme** ჩამონათვალიდან



ჩამონათვალის ერთ-ერთი სტრიქონის - **More themes online...** - საშუალებით შეიძლება მოვიძიოთ ახალი თემები ინტერნეტში. ჩამონათვალის რომელიმე ვარიანტის არჩევის შემდეგ **Sample** ნახატზე აისახება ატრიბუტების კომპლექსის ნიმუში. არჩევანის დადასტურება ხდება **Apply** და შემდეგ **OK** ღილაკებზე დაჭერით: **Display Properties** ფანჯრა დაიხურება, ხოლო **Windows**-ის ეკრანული პარამეტრების კომბინაცია შეიცვლება.



Desktop ჩანართის **Background** ჩამონათვალში შეირჩევა სამუშაო მაგიდის ფონი (**Wallpaper**). დიალოგური ფანჯრის ზედა ნაწილში მოთავსებულ ეკრანის გამოსახულებაზე ჩნდება არჩეული ფონის ნიმუში. თუ **Desktop**-ზე გვსურს განსხვავებული ნახატის მოთავსება, უნდა ვისარგებლოთ ღილაკით **Browse**. **Position** გადამრთველის დაყენება **Stretch** პოზიციაში ნიშნავს **Wallpaper**-ას გაშლას მთელ ეკრანზე. თუ გადამრთველი გაყენებულია **Center** პოზიციაში, ნახატი მოთავსდება ეკრანის ცენტრში, ხოლო **Tile** პოზიციის დროს ეკრანს დაფარავს **Wallpaper**-ის ერთმანეთზე მიდგმული მრავალი ეკზემპლარი.


თუ **Desktop**-ის ფონად არჩეულია **None** (ნახატის გარეშე), **Color** გადამრთველში შეგვიძლია ავირჩიოთ სამუშაო მაგიდის ფერი (20 სტანდარტული ფერიდან ერთ-ერთი). **Other...** ღილაკზე დაჭერით გავხსნით ფერთა პალიტრას, რომლის საშუალებითაც მომხმარებელს შეუძლია განსხვავებული ფერის შექმნა.

Customize Desktop... ღილაკზე დაწკაპუნებით გამოდის დიალოგური ფანჯარა **Desktop Items**. მის **General** ჩანართში შეგვიძლია მოვნიშნოთ ის სტანდარტული პიქტოგრამები, რომელთა **Desktop**-ზე მოთავსება გვინდა. აქვე შეიძლება შევცვალოთ პიქტოგრამების სახე.



თუ გარკვეული დროის მანძილზე არ მოხდება მაუსის გადაადგილება ან კლავიატურის ღილაკზე დაჭერა, ეკრანი გადადის ე.წ. "დასვენების რეჟიმში". ეს რეჟიმი ნიშნავს ეკრანის დროებით ჩაქრობას. საკმარისია მაუსი ავამოძრავოთ ან კლავიატურაზე რომელიმე ღილაკს დავაჭიროთ, რომ ეკრანი კვლავ განათდება და მასზე გაჩნდება ის გამოსახულება, რომელიც ჩაქრობის წინ იყო. ეკრანის ამ რეჟიმის პარამეტრები განისაზღვრება **Screen Saver** ჩანართში. მის **Screen Saver** ჩამონათვალში მოცემულია ეკრანის "დასვენების" სტანდარტული სტილები: მოძრავი სტრიქონები, გეომეტრიული ფიგურებით შედგენილი კომბინაციები და სხვა. ჩანართის ზედა ნაწილში მოთავსებულია ეკრანის გამოსახულება. ერთ-ერთი სტილის შერჩევის შემთხვევაში იგი აისახება ამ ეკრანზე. **Preview** ღილაკზე დაჭერა მოგვცემს საშუალებას შევხედოთ "დასვენების" სტილს მთელ ეკრანზე. დათვალიერების **Preview** რეჟიმიდან გამოსვლას უზრუნველყოფს კლავიატურის ნებისმიერ კლავიშზე დაჭერა ან მაუსის ამოძრავება. **Settings** ღილაკზე დაჭერა "დასვენების" სტილის პარამეტრების შეცვლის საშუალებას მოგვცემს: შეიძლება მოძრავ სტრიქონში საკუთარი ტექსტის ჩაწერა, მოძრავი ფიგურების ფორმისა და რაოდენობის შერჩევა, მოძრაობის სისწრაფის დაყენება. **Wait ... minutes** ველში მიეთითება დროის ინტერვალი (წუთებში), რომლის შემდეგაც მუშაობის შეწყვეტის შემთხვევაში ჩაქრება ეკრანი. **Screen Saver**-დან გამოსვლას შეიძლება დავადოთ პაროლი. ამისათვის უნდა მოვნიშნოთ **On resume, password protect** ველი. ამ შემთხვევაში **Screen Saver** რეჟიმიდან გამოსვლისას საჭიროა პაროლის შეტანა. იგულისხმება იგივე პაროლი, რომელსაც მომხმარებელი იყენებს სისტემაში შესასვლელად. თუ **Windows**-თან მუშაობის დაწყებისთვის მომხმარებელი პაროლს ამ იყენებს, მას პაროლის დაყენება არც **Screen Saver** რეჟიმიდან გამოსვლაზე შეუძლია.

Appearance ჩანართიდან ხდება ფანჯრის გარეგნული ატრიბუტების შეცვლა. ფანჯრის გარეგნულ ატრიბუტებს განეკუთვნება აქტიური და პასიური ფანჯრის სათაურის ზოლის ფერი, ფანჯრის ფონის ფერი, შრიფტის ზომა და სტილი, მენიუს ფონის ფერი და შრიფტი, ფანჯრის საზღვრების სისქე, ღილაკების ფონი და სხვა.



ჩანართის **Windows and buttons** ჩამონათვალში ორადორი სტრიქონია. პირველი გვთავაზობს ფანჯრების გარეგნული ატრიბუტების **Windows XP**-ს სტილს, ხოლო მეორე - **Windows**-ის კლასიკურ სტილს (სტილს, რომელიც გამოიყენებოდა **Windows**-ის წინა ვერსიებში). **Color scheme** ველში აირჩევა ფანჯრის ატრიბუტების შეფერილობის მზა კომბინაციები. მონიშნული კომბინაციის ნიმუში გამოჩნდება ჩანართის ზედა ნაწილში განთავსებულ ნახატზე. **Font size** ველიდან შეირჩევა შრიფტის ზომა.

შესაძლებელია ფანჯრის თითოეული ელემენტის ატრიბუტების შეცვლა. ეს ხდება

Advanced Appearance დიალოგური ფანჯრის **Item** ველიდან. **Advanced Appearance** დიალოგური ფანჯარა გამოიძახება **Appearance** ჩანართის **Advanced** ღილაკზე დაჭერით.

Effects ღილაკზე დაწკაპუნებით მიიღება დიალოგური ფანჯარა **Effects**, რომელშიც შეიძლება ფანჯრის ელემენტებისათვის სხვადასხვა ეფექტის შერჩევა.

მაგალითად, თუ მონიშნულია ☒ Hide underlined letters for keyboard navigation until I press the Alt key , Alt კლავიშზე დაჭერის შემთხვევაში ფანჯრის მენიუს პუნქტების პირველი ასოები გაიხაზება (გავიხსენოთ, რომ გახაზული ასოს შესაბამის კლავიშზე დაჭერისას მენიუს პუნქტი გაიხსნება).

Settings ჩანართი ემსახურება ეკრანის პარამეტრების შეცვლას.

ჩანართის **Color quality** ველში აირჩევა ეკრანული ფერების რაოდენობა. **Highest (32 bit)** ნიშნავს დაახლოებით 4 მილიონ ფერს.

Screen resolution განყოფილებაში შეირჩევა ეკრანის წერტილების რაოდენობა.

ჩანართის **Advanced** ლილავის მეშვეობით გადავდივართ დიალოგურ ფანჯარაში, სადაც შეიძლება დამატებითი ეკრანული პარამეტრების შეცვლა.


ცალკეულ ჩანართში შეტანილი ცვლილებები უნდა დავადასტუროთ **Apply** და შემდეგ **OK** ლილავზე დაჭერით, ხოლო არჩეული პარამეტრების ერთობლიობა- თემა შეგვიძლია

დავიმახსოვროთ **Themes** ჩანართის **Save as** ლილავზე დაჭერით. გამოსულ **Save as** ფანჯარაში შეგვიძლია თემას საკუთარი სახელი დავარქვათ. ტემის ფაილები ინახება **C:\Windows\Resources\Themes** საქაღალდეში და მათ აქვთ გაფართოება **.theme**


მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რიცხვების, ფულადი ერთეულების, დროისა და თარიღის ჩაწერის განსხვავებული წესები არსებობს. მაგალითად,

- ჩვენთან რიცხვის ჩაწერის მიღებული ფორმა შემდეგია - 17 030 567,75, ხოლო ამერიკელი იგივე რიცხვს ჩაწერს ასე - 17,030,567.75;
- თარიღის ჩაწერისას ჩვენ, როგორც წესი, ვწერთ ჯერ წელს, შემდეგ რიცხვს და ბოლოს თვეს, ამერიკელები კი პირველად მიუთითებენ თვეს, შემდეგ რიცხვს და ბოლოს წელს.

ჩამოთვლილი სიდიდეების - რეგიონალური პარამეტრების - სასურველი ფორმის დაყენება შეიძლება **Control Panel/Regional and Language Options** ბრძანებით გამოტანილი **Regional and Language Options** ფანჯრიდან.



ამ დიალოგური ფანჯრის **Regional Options** ჩანართში საკმარისია **Select an item to match its preferences** ჩამოშლადი ჩამონათვალიდან ავირჩიოთ ჩვენი ქვეყნის დასახელება - **Georgia**. აქვე **Samples** ნაწილში გამოჩნდება დასაყენებელი სიდიდეების ნიმუში. **Customize...** ღილაკზე დაჭერით მიიღება ახალი დიალოგური ფანჯარა **Customize Regional Options**, რომლიდანაც შეიძლება დამატებითი პარამეტრების დაყენება. ფანჯარას 4 ჩანართი აქვს: **Numbers**, **Currency**, **Time** და **Date**.




Numbers ჩანართის **Sample** განყოფილებაში მოცემულია **Positive** - დადებითი და **Negative** - უარყოფითი რიცხვების ჩაწერის ნიმუშები. შეიძლება რიცხვების ჩაწერის ფორმის შეცვლა სასურველზე. დადასტურების ნიშნად **Apply** ღილაკზე დაჭერის შემთხვევაში ცვლილებები აისახება ნიმუშებზე.

დანარჩენ ველებში შეიძლება განსხვავებული პარამეტრების შერჩევა:

- Decimal symbol – მთელი და ათწილადი ნაწილის გამყოფი სიმბოლო
- No. of digits after decimal – რიცხვის ათწილადი ნიშნების რაოდენობა
- Digit grouping symbol – რიცხვში ციფრთა ჯგუფების გამყოფი სიმბოლო
- Digit grouping – დაჯგუფების შემთხვევაში ციფრთა რაოდენობა ჯგუფში
- Negative sign symbol – უარყოფითი რიცხვის მაჩვენებელი სიმბოლო
- Negative number format – უარყოფითი რიცხვის განსხვავებული ფორმატი (მაგ., მისი ჩაწერა 1,1- თუ (1,1) ფორმატში)
- Display leading zeroes – ნამდვილ რიცხვში საწყისი ნულის ჩვენება (მაგ., ,25 თუ 0,25)
- List separator – სიის ელემენტების გამყოფი სიმბოლო
- Measurement system – საზომ ერთეულთა სისტემა


Currency ჩანართში აირჩევა ფულადი სიდიდის აღსანიშნავი სიმბოლო (მაგ., \$), ამ სიმბოლოს პოზიცია ფულად ერთეულში (მაგ., 9,9\$ თუ \$9,9), უარყოფითი ფულადი სიდიდის ფორმატი, ათწილადი ნიშნების რაოდენობა ფულადი სიდიდის ჩანაწერში და სხვა.

Time ჩანართი განკუთვნილია დროითი სიდიდის ჩაწერის სტილის არჩევისათვის. **Sample** განყოფილებაში ნაჩვენებია დროითი სიდიდის ჩაწერის ნიმუში, ხოლო **Time format** ველში მოცემულია შესაბამისი შაბლონი. მასში H (ან h) აღნიშნავს საათს, m - წუთს, s - წამს. შაბლონში შესაძლებელია ასოების რეგისტრის და რაოდენობის შეცვლა. **Time separator** ველში შეირჩევა საათის, წუთისა და წამის გამყოფი სიმბოლო. **AM** და **PM** სიმბოლოები დროის 12-საათიან რეჟიმში აღნიშნავენ შესაბამისად დროს შუადღემდე და დროს შუადღის შემდეგ. მათთვის დროის შაბლონში უნდა მიეთითოს **tt** კომბინაცია.



Time format notation განყოფილებაში ახსნილია შაბლონის სიმბოლოთა დანიშნულება და დროითი სიდიდის სტილის დამოკიდებულება ამ სიმბოლოების რაოდენობაზე და რეგისტრზე. **Apply** ღილაკზე დაწკაპუნების შემთხვევაში შაბლონის შეცვლა აისახება მოცემულ ნიმუშზე.

Customize Regional Options დიალოგური ფანჯრის **Date** ჩანართი გვადლევს საშუალებას ავირჩიოთ თარიღის როგორც მოკლე, ასევე სრული ჩანაწერის ფორმატი.



Short date format ჩამოშლადი ჩამონათვალი გვთავაზობს თარიღის მოკლე ჩანაწერის სტილს, ხოლო **Short date sample** ველში ნაჩვენებია არჩეული სტილის ნიმუში. თარიღის მოკლე ჩანაწერის შაბლონს **dd.MM.yyyy** შეესაბამება ჩანაწერი **14.04.2007**; შაბლონს **dd/MM/yy** – **14/04/07**; შაბლონს **d/M/yy** – **14/4/07**; შაბლონს **yyyy-MM-dd** – **2007-04-14**; შაბლონს **dd-MM-yyyy** – **14-04-2007**, ხოლო შაბლონს **d.M.yy** – **14.4.07**. ჩამოშლადი სიდიდან **Date separator** შეგვიძლია რიცხვის, თვისა და წლის ერთმანეთისაგან გამყოფი სიმბოლო ავირჩიოთ.


Long date sample ველში ჩანს თარიღის სრული ჩავაწერის მიმდინარე ფორმატის ნიმუში, ხოლო


Long date format ერთსტრიქონიან ჩამოშლად სიაში შეგვიძლია ავირჩიოთ თარიღის სრული ჩანაწერის განსხვავებული ფორმატი. შესაძლებელია აგრეთვე ჩავწეროთ ამ ველში ჩვენთვის სასურველი ფორმატი კლავიატურიდან. მაგალითად, შაბლონს **yyyy 'წლის' dd MM, dddd** შეესაბამება ჩანაწერი **2007 წლის 14 04, შაბათი**; შაბლონს **dd MM, yyyy 'წლის', dddd** – **14 04, 2007 წლის, შაბათი**; შაბლონს **dd, MM, yy 'წ', dddd** – **14, 04, 07 წ, შაბათი**; შაბლონს **dd, MM yyyy, 'წლის', ddd** – **14, 04 2007, წლის, შაბათი**. თუ **Short date format** ან **Long date format**-ში შევიტანთ ცვლილებას და დავაჭერთ **Apply** ღილაკს, ცვლილება აისახება შესაბამის ნიმუშზე.

თარიღისა და დროის შეცვლა უნდა მოვახდინოთ **Date and Time Properties** დიალოგური ფანჯრიდან, რომელიც გამოიძახება **Control Panel**-ის **Date and Time** პიქტოგრამაზე დაწკაპუნებით.

ამ ფანჯრის **Date&Time** ჩანართის **Date** ნაწილში შესაბამისი ველებიდან შეიცვლება წელი, თვე და მონიშნება თვის საჭირო რიცხვი. დროის გასწორება ხდება **Time** ნაწილში. საათის გამოსახულების ქვემოთ მოთავსებულია ველი, რომელშიც ჩანს მიმდინარე დრო სტანდარტულ ფორმატში. მაუსის დაწკაპუნებით ცალცალკე გავააქტიურებთ საათის, წუთისა და წამის ველებს, რის შემდეგაც კლავიატურიდან შევიტანთ საჭირო შესწორებებს.

ცვლილება მაშინვე აისახება საათის გამოსახულებაზე.






დროითი ზონის დაყენება შეიძლება **Date and Time Properties** დიალოგური ფანჯრის **Time Zone** ჩანართიდან. ჩამოშლად ჩამონათვალში უნდა ავირჩიოთ **(GMT +03:00) Tbilisi** სტრიქონი და დავაჭიროთ **OK** ღილაკზე.

დროითი ზონა ავტომატურად მიეთითება ელექტრონულ წერილებზე, რომლებიც იგზავნება მომხმარებლის მიერ.

ადრე ჩვენ გავეცანით **Windows**-ის სტანდარტულ პროგრამებს **WordPad** და **Paint**. ორივე პროგრამაში ტექსტის ასაკრეფად გამოვიყენეთ სხვადასხვა შრიფტები. სტანდარტული შრიფტების გაფართოებაა **.ttf**. ჩამოვთვალოთ ცნობილი ლათინური შრიფტების დასახელებები: **Times New Roman, Sylfaen, Arial, MS Sans Serif, Symbol, Windings**. კომპიუტერში არსებული შრიფტების დაინსტალება ხდება: ან კომპიუტერზე **Windows**-ის დაყენებისას (ავტომატურად), ან მომხმარებლის მიერ.


თუ მომხმარებელს სურს კომპიუტერში ახალი ფონტის ჩაწერა, მან უნდა შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:

- გამოიძახოს ეკრანზე **Control Panel** ფანჯარა;
- ორჯერადად დააწკაპუნოს მასში მოთავსებულ **Fonts** პიქტოგრამაზე. გაიხსნება **Fonts** ფანჯარა, რომელშიც გამოჩნდება უკვე დაინსტალებული შრიფტების სია;
- შეასრულოს მენიუს **File/Install New Font** ბრძანება სიაში ახალი შრიფტის დასამატებლად. ეკრანზე გამოვა **Add Fonts** დიალოგური ფანჯარა



- **Drives** ან **Folders** ველების საშუალებით გახსნას ის საქაღალდე, რომელშიც ახალი შრიფტების (ან შრიფტის) ფაილებია ჩაწერილი. საქაღალდეში მოცემულ ფაილებში **Windows** მოძებნის შრიფტის ფაილებს და გამოაჩენს მათ სიას **List of fonts** ველში.

- მონიშნოს დასაყენებელი ფაილების (ფაილის) სახელები. ყველა ფაილის ერთდროულად მონიშვნისათვის შეუძლია გამოიყენოს ღილაკი **Select All**.



თუ საჭირო შრიფტები ჩაწერილია ლოკალური ქსელის სხვა კომპიუტერში, გამოიყენება **Network** ღილაკი;

- დააჭიროს **Add Fonts** ფანჯრის **OK** ღილაკს.

ახალი შრიფტების დასახელება გამოჩნდება **Fonts** ფანჯრის სიაშიც და კომპიუტერში ჩაწერილი სხვადასხვა პროგრამების შრიფტების სიაშიც.